საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/132

ქ. ბათუმი 07 ნოემბერი, 2022 წ.

ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურად
მერაბ დიასამიძის შერჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-40 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 25 ოქტომბრის N06-01/117 დადგენილების, 2022 წლის 04 ნოემბრის N06-01/130 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 07 ნოემბრის სხდომის ოქმისა და ბსუ-ს საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის №1 (07.11.2022) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 25 ოქტომბრის N06-01/117 დადგენილებით გამოცხადებული და 2022 წლის 07 ნოემბერს ჩატარებული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შესარჩევი ფარული კენჭისყრის შედეგად, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურად შერჩეული იქნეს **მერაბ დიასამიძე** (10-წევრიანი შემადგენლობის აკადემიური საბჭოს მიერ 2022 წლის 07 ნოემბრის სხდომაზე/არჩევნებში მონაწილე აკადემიური საბჭოს 10 წევრის ხმით).
2. წარმომადგენლობით საბჭოს ეთხოვოს განიხილოს აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცების საკითხი.
3. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**